საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ გიორგი ბერიძეს

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 84-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტს - ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე".

გთხოვთ, კანონპროექტს მისცეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული მსვლელობა.

დანართი -4- ფურცელი.

პატივისცემით,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი

დავით გაბაიძე

09-01-02/86
30 01 2020
5 ფურცელი

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge), 20.06.2017, სარეგისტრაციო კოდი: 010240010.30.056.016064) კანონის მე-18 მუხლის:

ა) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ[1]“ ქვეპუნქტი:

„ბ [1]) კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე;“.

ბ) მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის ზეგავლენის შეფასება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიული აქტების შემთხვევაში).“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2020 წლის 1 ივნისიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე **თორნიკე რიჟვაძე**

ბათუმი,
----- ---------- 2020 წ.
N ----

იმ მუხლის (მუხლების) მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც (რომლებშიც) წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
კანონი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ"

მუხლი 18. ნორმატიული აქტის პროექტის თანდართული დოკუმენტები
1. კანონპროექტს უნდა დაერთოს განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახება:
ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ. მასში აღინიშნება:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;
ა.ბ)კანონპროექტის მიზანი;
ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;
ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება. მასში აღინიშნება:
ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;
ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;
ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;
ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;
ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;
გ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები. მასში აღინიშნება:
გ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
გ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
დ) კანონპროექტის ავტორი;
ე) კანონპროექტის ინიციატორი.
2. კანონპროექტს ასევე უნდა დაერთოს:
ა) კანონპროექტი სხვა საკანონმდებლო აქტში იმ ცვლილების შეტანის შესახებ, რომელსაც გამოიწვევს კანონპროექტის მიღება ან რომლითაც განისაზღვრება ამ ნორმატიული აქტის ნორმათა დარღვევისათვის დადგენილი პასუხისმგებლობა;
ბ) იმ მუხლის (მუხლების) მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც (რომლებშიც) წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება, მათ შორის, ხდება მისი (მათი) ამოღება;
გ) დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა ასეთის არსებობის შემთხვევაში;
დ) შესაბამის ორგანოში კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული ლობისტის დასკვნა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტის საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილ კანონპროექტს უნდა დაერთოს კომიტეტის სხდომის ოქმის ამონაწერი, რომელშიც მითითებულია მისი წარდგენის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება.
4. (ამოღებულია - 04.04.2019, №85-უ.ს.რ.ს.).
5. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტს უნდა დაერთოს:
ა) განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახება ნორმატიული აქტის პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი, მისი დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები, იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა). განმარტებით ბარათში აღინიშნება აგრეთვე ნორმატიული აქტის პროექტის ავტორი (ავტორები) და წარმდგენი;
ბ) პროექტი სხვა ნორმატიულ აქტში იმ ცვლილების შეტანის შესახებ, რომელსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა);

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე „ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ :

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

2019 წლის 20 სექტემბერს მიღებულია საქართველოს კანონი ,,ბავშვის უფლებათა კოდექსი“ რომლითაც გათვალისწინებულია საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე პირთა ვალდებულება შეაფასონ კანონპროექტის ზეგავლენა ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე. ასევე 2019 წლის 20 სექტემბერს ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებით ნორმატიული აქტის პროექტის თანდართულ დოკუმენტებს (მუხლი 17. განმარტებითი ბარათის ნაწილს) დაემატა შესაბამისი ქვეპუნქტები (მუხლი 17 -ის 1-ლი პუნქტის ბ [1] ქვეპუნქტი და ამავე მუხლის მე-5 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტი) სადაც აღნიშნულია, რომ როგორც კანონპროექტის, ასევე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის შემთხვევაშიც პროექტის ინიციატორი, ვალდებულია კანონპროექტის განმარტებით ბარათში სხვა ინფორმაციასთან ერთად ასევე ასახოს მისი ზეგავლენის შეფასება ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ,, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების მომზადების, მიღების (გამოცემის), გამოქვეყნებისა და მოქმედების წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, ამ კანონითა და მათ საფუძველზე მიღებული (გამოცემული) შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

ა.ბ)კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღებით, შესაბამისობაში მოვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი საქართველოს საკანონმდებლო აქტებთან. გარდა ამისა ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტებს დაეკისრებათ ვალდებულება, რომ კანონპროექტის განმარტებით ბარათში სხვა ინფორმაციასთან ერთად ასევე ასახონ კანონპროექტის/კანოქვემდებარე ნორმატიული აქტის ზეგავლენის შეფასება ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე. რაც ხელს შეუწყობს ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით სახელმწიფოს თანმიმდევრული პოლიტიკის განხორციელებას რეგიონში და მინიმუმამდე შეამცირებს კანონშემოქმედებითი საქმიანობის შედეგად ბავშვის უფლებებზე გაუთვალისწინებელი უარყოფითი ზეგავლენის ალბათობას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად, ნორმატიული აქტების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის პირველ პუნქტს ემატება ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, საკანონმდებლო ინიციატივის ავტორი ვალდებული იქნება კანონპროექტის განმარტებით ბარათში, სხვა მონაცემებთან ერთად, ასახოს კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე. ასეთი სახის შეფასების ასახვის ვალდებულება უჩნდებათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიული აქტების შემთხვევაში. მთავრობას ნორმატიული აქტის შემუშავების შემთხვევაში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ზ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ზ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ფინანსურ შედეგებს.

გ)კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა)კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

გ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს

დ) კანონპროექტის ავტორი:

გელა ღოღობერიძე

ე) კანონპროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი - დავით გაბაიძე